ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა
და განათლების დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო

11/12/2025

MES 5 25 0001776075

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საბჭოს თარიღი: 27.11.2025 წ;
სხდომის დაწყების დრო: 10:00 სთ;
სხდომის დასრულების დრო: 16:10 სთ;
საბჭოს თავმჯდომარე - ეკატერინე ლეჟავა;
საბჭოს მდივანი - თამარ ჩიკვილაძე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭოს) წევრები:

ეკატერინე ლეჟავა - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
ნატო შეროზია - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ჩიკვილაძე - ა(ა)იპ - კერძო ბაგა-ბაღების ასოციაციის წევრი, შპს ცეროდენას დირექტორი - საბჭოს მდივანი;
ნინო ლაბარტყავა - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
მაკა მაისურაძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსო, საბჭოს წევრი;
ნინო გიუაშვილი - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის -

„დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა“ გარემოს ჯანმრთელობის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
მარინე ბაიდაური - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;
თეა ბაქრაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
რონა პერტია - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;
ნათელა ლურსმანაშვილი - ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის №15 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი;
ნანა ათუაშვილი - ა(ა)იპ - კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მარი მიქაუტიძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი/სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
თეა ცერცვაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო დვალიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო მიქაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო კაპანაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ცირა თარალაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თამარ ქევხიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
გოგა პარუნაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს მონტესორი უნივერსი
ნინო კიკნაძე - დამფუძნებელი;
ანა ახალკაცი - დირექტორი.
ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება:
მარიამ გოგოლაძე - გაერთიანების დირექტორი;
ა(ა)იპ ლაგოდეხისმუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სოფელ თელას საბავშვო ბაღი:

ნინო გელაშვილი - საბავშვო ბაღის მენეჯერი;
ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სოფელ ჭაბუკიანის საბავშვო ბაღი:
ნანული გოგოლაძე - საბავშვო ბაღის მენეჯერი;
ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სოფელ კართუბანი N2 საბავშვო ბაღი:
მარინე კორაშვილი - საბავშვო ბაღის მენეჯერი;
ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სოფელ ბაისუბნის საბავშვო ბაღი:
ნუცა გაფრინდაშვილი - საბავშვო ბაღის მენეჯერი;

4. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს მონტესორი უნივერსი:
ეკა ლუაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი;
ქეთევან ღვანიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
სოფიო გოხელაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
თამარ ჭონიშვილი - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი;

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება (სოფელ თელას საბავშვო ბაღი) :
მარიამ მარიამიძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
მაია მიჩილაშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
რუსუდან აჩელაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ლალი ალადაშვილი - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება (სოფელ ჭაბუკიანის საბავშვო ბაღი):
მარიამ მარიამიძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი;
მაია მიჩილაშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
რუსუდან აჩელაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ლალი ალადაშვილი - სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების ექსპერტი , წევრი.

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება (სოფელ კართუბანი N2 -ის საბავშვო ბაღი):
ნანა ქაშიბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი;
თინათინ თოიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
რუსუდან აჩელაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ლალი ალადაშვილი - სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების ექსპერტი , წევრი;

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება (სოფელ ბაისუბნის საბავშვო ბაღი):
ნანა ქაშიბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი;
თინათინ თოიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
რუსუდან აჩელაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ლალი ალადაშვილი - სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების ექსპერტი , წევრი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ (შემდგომში - დროებითი წესი) 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა. საბჭოს სხდომა 2025 წლის 27 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 10:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დროებითი წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს აცნობა, სხდომის მიმდინარეობის ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1.შპს მონტესორი უნივერსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სოფელ თელას საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სოფელ ჭაბუკიანის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სოფელ კართუბნის N2 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სოფელ ბაისუბნის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **კი**

საბჭომ თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა მეხუთე საკითხად განხილულიყო შპს მონტესორი უნივერსის ავტორიზაციის საკითხი.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სოფელ თელას საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სოფელ ჭაბუკიანის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სოფელ კართუბნის N2 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სოფელ ბაისუბნის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს მონტესორი უნივერსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (სოფელ თელას საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ საკითხის განხილვას არ ესწრებოდა საბჭოს წევრი, მარინა, ბაიდაური. შემდგომ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიამ მარიამიძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სოფელ თელას საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 2 და 3 ივნისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 50. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 43 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მარიამ მარიამიძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა შესაბამისობის გეგმაში IV სტანდარტის შეუსაბამობებთან დაკავშირებით გაწერილი აღმოფხვრის ვადების საკითხით.
ლაგოდეხის გაერთიანების ხელმძღვანელმა, მარიამ გოგოლაძემ აღნიშნა, რომ მეოთხე სტანდარტში არსებული ხარვეზების დიდი ნაწილი უკვე გამოსწორებულია, რადგან მყისიერად დაიწყეს ხარვეზების გამოსწორებაზე მუშაობა.
საბჭოსთავმჯდომარემმიმართა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს რეკომენდაციით, რომ მეოთხე სტანდარტთან მიმართებით გამოვლენილი ხარვეზები გამოსწორებულ იქნას ერთი წლის ვადაში. გაერთიანების წარმომადგენელიდაეთანხმადამიიღორეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ნინო ლაბარტყავამ გაერთიანების ხელმძღვანელს მიმართა კითხვით, დაწყებულია თუ არა ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის მოწყობასთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული საკითხების მოგვარების პროცესი.
გაერთიანების ხელმძღვანელმა, მარიამ გოგოლაძემ განაცხადა, რომ იდენტიფიცირებული ხარვეზები ამ დროისთვის აღმოფხვრილია.
საბჭოს თავჯდომარე, ეკა ლეჟავა დაინტერესდა, აღმზრდელების გადამზადებას მოყვებოდა თუ არა მათი გადაყვანა აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციაზე.
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ განმარტა, რომ ამ პროცესებზე უკვე ფიქრობს მუნიციპალიტეტი და მომავალი წლიდან შეჯერდებიან.
საბჭოს წევრი, რონა პერტია დაინტერესდა პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში არსებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ ხარვეზზე, რა ქმედითი ცვლილებები განახორციელა დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა.
გაერთიანების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ყველა დოკუმენტი, რომელზეც ფიქსირდებოდა ხარვეზი, ამ ეტაპზე მოწესრიგებული და გამართულია.
საბჭოს წევრმა, ნანა ათუაშვილმა დასვა კითხვა ინკლუზიური განათლების კუთხით რა მიდგომებს იყენებს ბაღი.
გაერთიანების ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ ბაღებში სპეციალური მასწავლებლები არ ჰყავთ, მაგრამ ამ მიმართულებით მიმდინარეობს საგანმანათლებლო პერსონალის გაძლიერება ტრენინგების საშუალებით.
საბჭოს წევრი, მაკა მაისურაძე დაინტერესდა კვების მიმართულებით, კერძოდ, კვების ზოგიერთი კომპონენტის არ არსებობის საკითხით.
გაერთიანების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2025 წლის 20 ნოემბერს დამტკიცდა ბიუჯეტი, რომელშიც გათვალისწინებულია ახალი მენიუს შემუშავების საკითხი. მომავალი წლის პირველი იანვრიდან კვება დარეგულირდება, ბაღებში შევა სრულფასოვანი და მრავალფეროვანი პროდუქტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 11:06
დასრულების დრო - 11:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი სოფელი თელას საბავშვო ბაღის ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:

,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას (სოფელ თელას საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 43-ით.

საბჭომ ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2026 წლის 10 სექტემბრისა.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (სოფელ ჭაბუკიანის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისსაკითხისგანხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას შეუერთდა საბჭოს წევრი, მარინა ბაიდაური და სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, თეა ბაქრაძემ. შემდგომ საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიამ მარიამიძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სოფელჭაბუკიანის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 4 და 5 ივნისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 100. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 58 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მარიამ მარიამიძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტიშეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და მყისიერად დაიწყო ამ ხარვეზების გამოსწორება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა დამატებითი განმარტება თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით.
ექსპერტთა თავმჯდომარემ განმარტა, რომ შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსების არქონის გამო, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა არარელევანტურია.
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ დამატებით აღნიშნა, რომ სოფელი ჭაბუკიანი აფენის დიდ თემს ეკუთვნის და გათვლა ამიტომ გააკეთეს 100 ბავშვზე.
ექსპერტმა, მარიამ მარიამიძემ დაადასტურა, რომ ჭაბუკიანის საბავშვო ბაღის ინფრასტრუქტურა ესადაგება თანამედროვე მშენებლობის პრინციპებს და ისეა მოწყობილი, რომ ექსპერტების მიერ იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოფხვრის შემთხვევაში შესაძლებელია 100 ბავშვის განთავსება საბავშვო ბაღში.

საბჭოს წევრმა, ნინო გიუაშვილმა, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს სთხოვა დამატებითი განმარტება გაეკეთებინა ადაპტირებული სანიტარული კვანძის შეუსაბამობასთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, განმარტა, რომ ბაღის შენობის ორივე სართულზე განთავსებულია მხოლოდ ზრდასრულებისთვის განკუთვნილი სანიტარული კვანძი. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, რომ სტანდარტების დაცვით ბავშვებისთვისაც მოეწყოს ადაპტირებული სანიტარული კვანძი.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის სივრცეების ხელმისაწვდომობის საკითხით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულების ინფრასქტუქტურა სრულად უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას, დაწესებულებაში განთავსებულია ლიფტი.
საბჭოს წევრმა, ნინო გიუაშვილმა კითხვით მიმართა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ინფრასტრუქტურული და ფინანსური თვალსაზრისით რამდენად რეალისტურია დამატებითი სანიტარული კვანძების მოწყობასთან დაკავშირებული ხარვეზის აღმოსაფხვრელი სამუშაოების განხორციელება.
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი არ არის რთულად მოსაგვარებელი, რადგან დაწესებულების ფართიც და ფინანსური რესურსიც იძლევა ამის შესაძლებლობას.
საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი ასევე დაინტერესდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მარიამ მარიამიძემ განმარტა, რომ შესაბამისი დოკუმენტაცია სრულად მოწესრიგებულია, ვიზუალური დათვალიერებითაც დადგინდა, რომ საევაკუაციო გასასვლელები მოწყობილია როგორც პირველ, ისე მეორე სართულზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყებისდრო- 12:10
დასრულებისდრო- 12:16

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი სოფელი ჭაბუკიანის ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს

მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას (სოფელ ჭაბუკიანის საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 58-ით.

საბჭომ ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 10 სექტემბრისა.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანები ს (სოფელ კართუბანი N2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ქაშიბაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სოფელ კართუბანი N2 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 2 და 3 ივნისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის გასახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 50. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა

ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ნანა ქაშიბაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო, მეოთხე სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა ჯგუფური ოთახების მდგომარეობით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა ქაშიბაძემ განმარტა, რომ ჯგუფური ოთახები ვიზიტის დროს სრულყოფილად მოწყობილი არ იყო, თუმცა აღნიშნულ საკითხზე უკვე დაწყებულია მუშაობა. შესაბამისი საგანმანათლებლო სივრცეები უკვე შექმნილია როგორც შიდა გარემოში, ასევე ეზოში, და ეტაპობროივად მიმდინარეობს მათი ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად მოწყობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი დაინტერესდა, თევზის მიწოდებისა და მენიუსთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების საკითხით.
გაერთიანების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ კვების ნაწილი თავდაპირველად სწორად არ იყო გააზრებული. რეკომენდაციების მიღების შემდეგ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს აქვს მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა ნუტრიციოლოგის მიერ დამტკიცებული ახალი მენიუთი განახორციელოს საკვების მიწოდება, რისთვისაც მომავალ წელს გამოცხადდება ტენდერი.
საბჭოს წევრმა, ნინო გიუაშვილმა დამატებით დასვა კითხვა ექსპერტთა მიერ იდენტიფიცირებულ შეუსაბამობაზე, რომელიც ეხებოდა ხორცისა და თევზის პროდუქტებს. გაერთიანების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ხარვეზი მხოლოდ თევზის ნაწილში დაფიქსირდა, ტრანსპორტირების შეფერხების გამო, რაც გამოწვეული იყო საქართველოს საზღვარზე მისი დაყოვნებით. ხოლო რაც შეეხება ხორცის მიწოდებას, ამ ნაწილში ხარვეზი არ დაფიქსირებულა.
საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი ასევე დაინტერესდა საბავშვო ბაღში დანა-ჩანგლის არსებობის საკითხით.
ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის დროს ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ კოვზი, თუმცა მომავალი წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია დანა-ჩანგლის შეძენა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 13:07
დასრულების დრო -13:17

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (სოფელ კართუბანი N2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას (სოფელ კართუბანი N2 საბავშვო ბაღი) მიენიჭოს განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.

საბჭომ ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 10 სექტემბრისა.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (სოფელ ბაისუბნის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ქაშიბაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სოფელ ბაისუბნის საბავშვო ბაღშიავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 4 და 5 ივნისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 50. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, ნანა ქაშიბაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტიშეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა საყოფაცხოვრებო და ქიმიური სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებების განთავსების საკითხით.
სანიტარია-ჰიგიენის ექსპერტმა, ლალი ალადაშვილმა, განმარტა, რომ სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებები არ ინახება ბავშვებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას.
საბჭოს წევრი, მარინე ბაიდაური დაინტერესდა ხელსაბანი ნიჟარების სტანდარტთან შესაბამისობის საკითხით.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ხელსაბანი ნიჟარები ბავშვის სიმაღლეზე არის განთავსებული.
საბჭოს წევრმა, ნანა ათუაშვილმა დანა - ჩანგლების არ არსებობაზე გაამახვილა ყურადღება, დაინტერესდა გაერთიანებამ აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად თუ გადადგა ქმედითი ნაბიჯები.
გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი შესყიდვების გეგმაში უკვე გათვალისწინებული აქვთ და მომავალი წლიდან აღმოიფხვრება ხარვეზი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ დასვა კითხვა რეფერირებაზე პასუხიმგებელი პირის არსებობის შესახებ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა ქაშიბაძემ უპასუხა, რომ რეფერირებაზე პასუხიმგებელ პირად განსზღვრულია გაერთიანების მეთოდისტი.

საბჭოს წევრი, რონა პერტია დაინტერესდა გაერთიანების მეთოდისტის გარდა, უშუალოდ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში თუ ჰყავდათ განსაზღვრული რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი და აღნიშნული პირი იყო თუ არა გადამზადებულია.
გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ შექმნილია რეფერირებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომელიც შედგება გაერთიანების მეთოდისტის, ბაღის მენეჯერის, აღმზრდელისა და ექთნისაგან. აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლები გადამზადებულები არიან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყებისდრო- 13:55
დასრულებისდრო- 14:05

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა(ა)იპლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი სოფელი ბაისუბნის ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განისაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება:

,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას (სოფელბაისუბნის საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 50-ით, ხოლო მიმდინარე პერიოდში, სტანდარტთან/სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესრულებამდე და ინფორმაციის ცენტრში წარმოდგენამდე განახორციელოს მომსახურება არაუმეტეს 30 ბავშვისთვის.

საბჭომ ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 10 სექტემბრისა.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა:

შპს მონტესორი უნივერსის ავტორიზაციის **საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს სხდომაზე, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ეკა ლუაშვილმა. მან აქვე აღნიშნა, რომ დაწესებულება არის ახალი აშენებული, თანამედროვე ინფრასტუქტურით და იმ სტანდარტებით, რაც თანამედროვე ინფრასტრუქტურას უნდა გააჩნდეს. ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს მონტესორი უნივერსში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 5 და 6 აგვისტოს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს:
1. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა. პროგრამის განხორციელების ენა - ქართული; პროგრამების განსახორციელებლად შემუშავებული აქვს შემდეგი კურიკულუმი: მონტესორი უნივერსის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კურიკულუმის ჩარჩო;
2. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა. პროგრამის განხორციელების ენა - ინგლისური. პროგრამების განსახორციელებლად შემუშავებული აქვს შემდეგი კურიკულუმი: მონტესორი უნივერსის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კურიკულუმის ჩარჩო.
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა ქართულენოვან პროგრამაზე არის 150, ხოლო ინგლისურენოვან პროგრამაზე არის 30. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ ზემოხსენებულ ბავშვთა ზღვრულ რაოდენობებს ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა.

ექსპერტმა, ეკა ლუაშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ, მეორე (როგორც ქართულენოვან, ასევე ინგლისურენოვან პროგრამაზე) და მეოთხე სტანდარტებში შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით გარკვეულ ინდიკატორებთან მიმართებით წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებები, ხოლო ნაწილ ინდიკატორებთან მიმართებით - შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ძლიერ მხარედ შესაძლოა ჩაითვალოს თანამედროვე სტანდატების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ფრენშაიზის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და მისი მხარდამჭერი რესურსები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა დაინტერესდა აღმზრდელებისა და აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციები რამდენად იყო თანხვედრაში მოქმედ სტანდარტებთან და ასევე, დაინტერესდა შესაბამისი პერსონალის ამერიკაში გადამზადების საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ კადრების მოძიების პროცესი სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რადგანაც მონტესორის მეთოდოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პერსონალთან მიმართებით ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს, რომ მათ არ ჰქონდეთ სხვა ბაღებში მუშაობის გამოცდილება, რათა არ წარმოიშვას სირთულეები საგანმანათლებლო პროცესში. საქართველოს კანონმდებლობა მსგავს მოთხოვნას არ იზიარებს, რის გამოც, დაწესებულების სტატუსის მაძიებელში დასაქმებულები არიან როგორც გამოცდილი აღმზრდელები, ასევე ჰუმანიტარული განათლების მქონე პედაგოგები. ყველა მათგანს გავლილი აქვს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდული. ასევე, ამერიკაში გადიან გადამზადების ექვსთვიან კურსს, რომელიც მოიცავს თვეში ორჯერ გამოცდის ჩაბარებას.
საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტავა, ასევე დაინტერესდა მონტესორიასა და რეჯიო ემილიას მეთოდების პრაქტიკაში ინტეგრირებისა და თემატური გაკვეთილების ჩატარების რელევანტურობის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ არსებობს ერთი დიდი ჯგუფური ოთახი, იგი დაყოფილია გეოგრაფიის, მათემატიკის, სენსორიკის, ენისა და პრაქტიკული ცხოვრების ზონებად. გეოგრაფიის მასალები წარმოდგენილია ხის საგნებით, რუკებით, გლობუსებით და სხვა ვიზუალური რესურსებით. მათემატიკის ზონა მოიცავს სპეციალურ, მონტესორის მასალებს და სწავლება ხდება სათამაშო-საგანმანათლებლო საშუალებებით. აღნიშნული პროცესები ეფუძნება პერსონალის მიერ გავლილ ტრენინგებს, სადაც დეტალურად განიხილება, როგორ უნდა წარიმართოს სწავლების პროცესი სათამაშო მასალების დახმარებით, აქვე განმარტა, რომ აღნიშნული აქტივობები არ წარმოადგენს კლასიკურ გაკვეთილს, არამედ არის მასწავლებლის მიერ მართული აქტივობები, რაც მონტესორის პრინციპთან სრულ შესაბამისობაშია.
საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა დამატებითი განმარტება ჯგუფების ორგანიზების, ასაკობრივი დაყოფის, პერსონალისა და ბავშვის თანაფარდობისა და ჯგუფში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობის საკითხით.
დამფუძნებელმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე ჯგუფში ირიცხება თხუთმეტი ბავშვი და თითოეულ ჯგუფზე უზრუნველყოფილია სამი თანამშრომელი. ჯგუფში ბავშვების მაქსიმალური რაოდენობა კი განისაზღვრება ოცით.
საბჭოს წევრი, რონა პერტია, დაინტერესდა ამ ეტაპისთვის დაწესებულების სტატუსის მაძიებელს განსაზღვრული ჰყავს თუ არა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე,

პერსონალის ხელშეკრულებებში კანონმდებლობის შესაბამისად ასახულია თუ არა სამუშაო დრო.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხელშეკრულებების ნაწილში თავდაპირველად არ იყო გამოყოფილი საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები, თუმცა დაწყებულია აღნიშნულ საკითხზე მუშაობა. ასევე აღნიშნა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან აქვთ უკვე კომუნიკაცია, თუმცა ბავშვთა უფლებების ტრენინგი ჯერ არ ჩატარებულა და ამას წლის ბოლოსთვის აუცილებლად უზრუნველყოფენ. ასევე აღნიშნა, რომ ხელშეკრულებებში სამუშაო დრო განსაზღვრულია და არ სცდება 40 საათს, რაც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. დამატებით განმარტა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული ჯგუფი, რომელიც მუდმივი ხასიათის არ არის და გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მშობელი ვერ ახერხებს ბავშვის დროულად გაყვანას. ასეთ დროს ბავშვის ერთი საათით დატოვება შესაძლებელია. დაწესებულებას ჰყავს ცალკე პედაგოგი, რომელიც პასუხისმგებელია გახანგრძლივებულ ჯგუფზე და შესაბამის ანაზღაურებას იღებს აღნიშნული მომსახურებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა დაზუსტება დაწესებულების სტატუსის მაძიებელს დაწყებული ჰქონდა თუ არა ფუნქციონირება.
დამფუძნებელმა განმარტა, რომ სასწავლო პროცესი ორგანიზებულად მიმდინარეობს.
საბჭოს წევრი, მაკა მაისურაძე დაინტერესდა კვებითი უზრუნველყოფის ფორმით, კერძოდ, როგორ და რა პრინციპით მოხდა კვების კომპანიის შერჩევა, რა დოკუმენტაცია წარმოედგინა კვების ექსპერტს ადგილზე ვიზიტის დროს.
კვების დარგის ექსპერტმა, სოფიო გოხელაშვილმა განმარტა, რომ მონტესორის ბაღმა აირჩია სატელიტური მოდელი: დოკუმენტაციის შესწავლის გარდა, ვიზიტის დროს ადგილზე მოხდა კომპანიის წარმომადგენლებთან გასაუბრება. კომპანიას აქვს SES-ის აქტი და შესაბამისობის აქტი, რაც ადასტურებს, რომ კომპანიას შეუძლია children's food service-ის განხორციელება იმ ჰიგიენური მოთხოვნების დაცვით, რასაც სტანდარტები ითხოვს. გაცემული რეკომენდაციები შეეხებოდა, ძირითადად, ტექნიკურ საკითხებს, მათ შორის დღიური კალორიის გადანაწილების უფრო ნათელ დოკუმენტირებას, ვინაიდან წარდგენილი იყო მხოლოდ ერთიანი დღიური კალორაჟი. რაც შეეხება ტრანსპორტირებას, დაწესებულებას მკაფიოდ აქვს განსაზღვრული მოთხოვნები ტემპერატურული რეჟიმების დაცვისთვის, კომპანიას კი აქვს მრავალწლიანი გამოცდილება.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ კვებითი რაციონის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში ჩართული არიან მონტესორის საერთაშორისო ექსპერტები და ნუტრიციოლოგები, რომლებიც მონაწილეობდნენ კალორაჟის გამოთვლის პროცესში და იმ მენიუს შედგენაში, რომელიც დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:23
დასრულების დრო -16:05

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მონტესორი უნივერსის ავტორიზაციის საკითხის გადადება.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

კენჭისყრის შედეგები:

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ განმარტა, რომ გარკვეული დეტალების დაზუსტებისათვის საბჭო საჭიროებს საკითხის დამატებით განხილვას და შპს მონტესორი უნივერსის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა გადაიდო 2025 წლის 01 დეკემბერს.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 16:10 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე